პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. ძ. ძ.

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი [illegible] პროვინციაში [illegible]

89 კვირა, 23 აპრილი 1922 წ. — ყოველდღიური გაზეთი — კვირა, 23 აპრილი 1922 წ. № 89

ორშაბათს, 24 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

## პირველი საორგანიზაციო კრება სადისკუსიო პარტკლუბის წევრებისა

ის ამხანაგები, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ 20 აპრილისთვის და აგრეთვე რაიონულ კომიტეტების მიერ კლუბების წევრებად არჩეული ამხანაგები, უნდა გამოცხადდნენ კრებაზე დანიშნულ დროზე.

კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი კაციც არ უნდა დაესწროს.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

(2—2)

---

**სამშაბათს, 25 აპრილს, საღამოს 6 საათზე**

სასახლეში დანიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

## პრეზიდიუმის სხდომა

ც. ა. კ. მდივანი თ. კალანდაძე.

(1—1)

---

დღეს, კვირას, 33 აპრილს, დილის 11 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება

## თ. კ. პლენუმის, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის და რაიკომების სეკრეტარიატების სხდომა

თათბირზე მოწვეული არიან საქართველოს კ. პ. ც. კ. და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები. მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გამო. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

თ. კ მდივანი ლოლობერიძე.

(1—1)

---

კვირას, 23 აპრილს, დილის 9 საათზე შესდგება

## საქართველოს კ. პ. თ. კ. სააგიტაციო-საპროპ. განყოფილების სხდომა სეკრეტარიატების, რაიკომების ორგანიზატორების და პარტსკოლის ლექტორების თანადასწრებით

ამხანაგების დასწრება პარტიულ დისციპლინის წესით სავალდებულოა

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპ განყოფილება.

(1—1)

---

# სამხრეთ-ოსეთის ავტონომია

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში მოყვა სრული ეროვნული მშვიდობიანობის ჩამოგდება, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში [illegible] დებოდა საბჭოთა ძალაუფლება, რომელიც ბოლოს მოუღებდა მათ ტანჯვას. მათი მოლოდინი და იმედი გამართლდა. ბოლოს საქართველოშიც [illegible]

[illegible] აქ ხსენებულ სახ. კომისრებს ნიშნავენ ს. ს. ს რ. სათანადო სახ. კომისრები ს. ო ც. ა. კ-თან შეთანხმებით, და ამტკიცებს მათ ის უკანასკნელი ს. ო. სახ. კომისარიატები— [illegible] საშუალებებიდან საქ. ც. ა. კ და სახ. კომ. საბჭოს უშუალო განკარგულებით და ს. ო. ც. ა. კ. საშუალებით.

ასეთია ამ დეკრეტის შინაარსი და ის ურთიერთობა, რომელიც მყარდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულსა და საქართველოს ცენტრალურ ორგანოებს შორის. ეს აქტი, ეჭვი არ არი, ხელს შეუწყობს ქართველ და ოს მშრომელ მასსების [illegible] ეროვნულ განთავისუფლებისათვის, შესძლებს თავის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების განვითარებას და აყვავებას. და ამ საქმეში მისი დამხმარე იქნება საქართველოს ცენტრალური მთავრობა და მთელი ხალხი.

---

# ნატურით და არა ფულით

როდესაც წარსულ წელს საქართველოს საბჭოთა მთავრობამ შემოიღო ნატურალური გადასახადი სასოფლო მეურნეობის მთელ რიგ პროდუქტებზე, ეს სრულიადაც არ ყოფილა უბრალო გადმონერგვა ჩვენ ნიადაგზე რუსეთის „შაბლონის“. როგორც ჩრდილოეთის ჩვენ ძმურ რესპუბლიკაში, ისე საქართველოშიაც მას თავისი გასამართლებელი მიზეზები ჰქონდა. უნდა გადაწყვეტილიყო პრაქტიკულად და დაუყოვნებლივ კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ მოგვეხმარებია სახელმწიფოებრივ მეურნეობაში ჩაბმული მუშახელი, სახელმწიფოს მოსამსახურეები და არმია. ორი ჩვეულებრივი გზით შეიძლებოდა მიგვეღწია ამ მიზნისა- [illegible]

უდავოა, რომ ჩვენი ფულის კურსი უფრო მტკიცეა, ვინემ არის მაგალითად რუსეთის, მაგრამ არა იმდენად, რომ მას შეეძლოს შეინარჩუნოს ლარიზულების მუდმივობა თუ გინდ იმდენად და იმ მანძილზედაც კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც აშორებს მის გამოსავალ წერტილს გადამხდელისაგან იმ დრომდე, როდესაც ის უნდა „განაღდეს“ რაიმე საგანში, უმთავრესად შესაძენ სურსათში, სულაც რომ არ ვილაპარაკოთ იმ საქონელზე, რომელიც შინაურ ბაზარს არ მოეპოვება ან და მოეპოვება, მაგრამ ჩვენთვის არა საკმაო რაოდენობით.

ფულით გადასახადის მიმხრეები მიუთითებენ იმ სხვა დროს და სხვა [illegible]

---

# გენუის კონფერენცია

**რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება.**

ვარშავა, 19 აპრ. რადიო. (მოსკოვი). გაზეთი „კურიერ ვარშავსკი“ იუწყება, რომ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების დადებამ ბერლინში გამოიწვია საერთო ენტუზიაზმი, ბერლინში ფიქრობენ, რომ ხელშეკრულება დადებულია გენუაში საერთაშორისო კონფერენციის დროს. ბერლინი არ სჯერავს გენუის კონფერენციის ჩაშლის შესაძლებლობა, და ფიქრობს, რომ ანტანტა ვერ შესძლებს ხელშეკრულებისადმი სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას.

**გერმანიის პრესის გამოხმაურება.**

ბერლინი, 18 აპრ. რადიო (მოსკოვის) გაზეთი „ფოსიშე ცეიტუნგი“ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება არ იყო დადებული 5 წლით უფრო ადრე.

გაზეთი „ფორვერტსი“ წერს, რომ რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობას გვიკარნახებს აუცილებლობა, რადგანაც ის მხურვალედ სურთ არა მარტო გერმანელ მუშებს, არამედ [illegible] რავს ყველა ღონისძიებას კონფერენციის მომავალ მუშაობის გასაგრძელებლად. საფრანგეთი მოითხოვს რუსეთის და გერმანიის ხელშეკრულების გაუქმებას. საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს რა წინადადება მისცეს მოკავშირეებს, რომ ისინიც შეუერთდენ მას ხელშეკრულების გაუქმების სურვილში, ამით საფრანგეთი ერთხელ კიდევ გაუწევს ვერსალის ხელშეკრულებას თავის მფარველობას“.

**ხელშეკრულების დადების შემდეგ.**

სანტა მარგარიტა. 19 აპრილი (რადიო). რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო (მოსკოვით). საერთო განცვიფრება და დაბნეულობა, რომელიც გამოაშკარავდა გენუაში რუსეთ-გერმანიას ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, შეიცვალა სურვილით გასცენ პასუხი ამ გამოსვლას. არის ცნობები, რომ დიდი და მცირე ანტანტის წარმომადგენლების მიერ გამართული სხდომა ამ საკითხის შესახებ, ატარებდა აღშფოთების ხასიათს. ინგლისელები ფარავდენ [illegible] რომ კონფერენციის მუშაობა არ შეწყდება. ამ დელეგატების აზრით არ შეიძლებოდა აგვეკრძალა გერმანიისათვის რუსეთთან უშუალო დამოკიდებულებაში შესვლა ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობენ შექმნილ მდგომარეობიდგან გამოსასვლელად.

**არა რუსეთის, არამედ გერმანიის წინააღმდეგ.**

ლიფილდი. 19 აპრილი, (ინგლისის პრესის რადიო) ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა უკმაყოფილება მიმართულია არა რუსეთის არამედ გერმანიის წინააღმდეგ. ბარტუმ მხურვალეთ დაიცვა ლოიდ-ჯორჯის აზრი, რომ გერმანია მოიქცა არა ლოიალურად. ოფიციალურად უარყოფენ იმ ცნობებს, ვითომც გენუაში მყოფმა ინგლისის წარმომადგენლებმა წინასწარ იცოდნენ რუსეთ-გერმანიის შორის მოლაპარაკების შესახებ.

**რუსეთის და გერმანიის დელეგატები ბანკეტზე.**

რომი. 20 აპრილი, (რადიო მოსკოვით) [illegible]

[illegible] დღევანდელ სხდომაზე ბარტუმ საფრანგეთის მთავრობის სახელით წარადგინა შემდეგი ცნობა: „საფრანგეთი არ შესწყვეტს შეერთებულ მუშაობას მანამდე, სანამ არ ამოსწუ- [illegible] (მოსკოვით) იტალიის პრემიერი ფაქტა საჩქაროდ დაბრუნდა რომიდგან გენუაში შექმნილ მდგომარეობის მოგვარებას განზრახვით. იტალიის დელეგატები დარწმუნებული არიან, რომ ჩიჩერინი წარმოადგენს ევროპის ერთ ერთ დიდ მოაზროვნეს და რომ ბარტუს და საფრანგეთის სხვა დელეგატების „აზროვნების მეთოდი აღმოჩნდა ძლიერ ცუდი“.

---

# წითელი პრესა

**„პირველი მერცხლები“**

როდესაც ყვითელი ინტერნაციონალის ბელადები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, როდესაც კომინტერნის ამ ნაბიჯში ისინი ხედავდენ მახეს—ამაში ისინი არ ცდებოდნენ და წინათ გრძნობა მათ არ ატყუებდა. ეს ლოზუნგი ისახავდა ორნაირ მიზანს: პროლეტარიატის დაქსაქსული ძალების გაერთიანებას მისი მორიგი მოთხოვნილებების გასატარებლათ და შეტევაზე გადმასული კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველათ—ერთი მხრით; ამ ბრძოლის პროცესში ყვითელი ინტერნაციონალისა და მისი ბელადებისაგან ნიღაბის ჩამოგლეჯას—მეორე მხრით. [illegible] დაწყებული კამპანია ევროპაში.

„ცნობები, რომლებიც გერმანიიდან მოდის—სწერს გაზ. „ტრუდ“—სრულიათ ადასტურებენ მესამე ინტერნაციონალის პოლიტიკას. დათავდა თუ არა სამი ინტერნაციონალის კონფერენცია, მაშინვე გერმანიის სხვა და სხვა ადგილებში მრავალ-რიცხოვან მუშათა მიტინგებზე გამოიტანეს რეზოლიუციები მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ.“

ასეთი გამოხმაურება ჰპოვა ვანდერველდეს გამოსვლამ კონფერენციაზე მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევის და ვერსალის ყაჩაღური საზავო პირობების გადასინჯვის წინააღმდეგ, რითაც მან საშკარაოზე გამოიტანა ყველას დასანახათ თუ რა ასულდგმულებს ანტანტის აგენტურას, რომელსაც „მეორე ინტერნაციონალი“ ეწოდება.

„და მუშათა კლასიც ხედავს ამას. ერთიანი ფრონტი ეს არის მხოლოდ ეწყობა. მოვიდა პირველი ამბები იმის შესახებ, როგორ უყურებს პროლეტარიატი მეორე ინ- [illegible] პოზიციას. გზა ერთიანი ფრონტის კიდევ წინ არის. მაგრამ მისი პირველი მერცხლებიც, რომლებიც მუშათა მასების შუა გულიდან გამოფრინდნენ, მოწმობენ იმაზე, რომ მართლდება პოლიტიკა მესამე ინტერნაციონალის, რომელმაც პირველმა ააფრიალა დროშა ერთიანი ფრონტის.“

ნ.

---

# ვრანგელის არმიის ლიკვიდაცია

ქვემოდ მოგვყავს ბულგარეთის მთავრობის დადგენილება ვრანგელის არმიის ლიკვიდაციის შესახებ, დადგენილება, რომელმაც გამოიწვია აურზაური კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. ეს დადგენილება გამოიწვია ვრანგელის ნაწილების მთელ რიგ უმსგავსო მოქმედებებმა და დაუმორჩილებლობამ ბულგარეთის ხელისუფლებადმი, უმთავრესად კი არმიის შესანახ საშუალებათა ნაკლებობამ. „რუსკოე დელო“ არმიის ლიკვიდაციას ხსნის ბოლგარელ კომუნისტების ოინებით. ამის გამო პარლამენტში განმარტებას იძლეოდა სამხედრო მინისტრი ტომოვი, რომელმაც მიუთითა ვრანგელის ნაწილების დაუმორჩილებლობის მთელ რიგ ფაქტებზე.

უმაღლეს ადმინისტრატიულ საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება საკმაოდ კატეგორიული ხასიათისაა. მოგვყავს ის მთლიანად.

**ადმინისტრატიულ საბჭოს დადგენილება.**

მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესმა ადმინისტრაციულმა საბჭომ სხდომაზე ბულგარეთის არმიის შტაბის უფროსის პოლკ. ტოპოლჯიკოვის თავმჯდომარეობით მიიღო შემდეგი დადგენილება ბულგარეთში მყოფ რუსეთის არმიის ნაწილების შესახებ:

1) წინადადება მიეცეს ყველა სამხედრო ნაწილებს შეიტანონ ფინანსთა სამინისტროს დეპოზიტში ფული თავის შესანახად მომავალ დროისათვის, ვინაიდან წინედ შეტანილი ფული გათავდა; 2) უნდა შეუდგენ ვრანგელის სამხედრო ნაწილების სწრაფ და საბოლოო განიარაღებას; 3) გაზაფხულის სეზონის დაწყების გამო ყველა ნაწილები უნდა ვაიძულოთ მუშაობას მოკიდონ ხელი და გაუადვილოთ ამ სამუშაოს შოვნა; 4) ბულგარეთის მთავრობა გადასდგამს ნაბიჯებს ამ სამხედრო ნაწილების ამნისტიისათვის ბოლშევიკების მიერ, [illegible] მალე დაბრუნება სამშობლოში, და გაუადვილოთ მათ მოგზაურობა; 5) ყველა რუსები ბულგარეთში უნდა ემორჩილებოდნენ ბულგარეთის კანონებს და ბრძანებებს, რომელთა აუსრულებლობისათვის დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით; 6) გენ. ვრანგელის არმიის ნაწილებს არ შეუძლიათ ისარგებლონ სამხედრო ნაწილების არავითარი უფლებებით, ყველა ისინი უნდა ემორჩილებოდნენ ბულგარეთის სამოქალაქო ხელისუფლებებს; 7) არც ერთს რუსთაგანს, იქნება ის სამხედრო თუ სამოქალაქო პირი, არ შეუძლია იქონიოს იარაღი.

ბულგარეთის მემარჯვენე პრესა ვრანგელის არმიის ლიკვიდაციას მიაწერს ბულგარეთის ახლანდელ მთავრობის სურვილს კომუნისტების და მოსკოვის გულის მოგებისას.

ამ მოულოდნელ დადგენილებასთან დაკავშირებით, ვრანგელმა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა 28 მარტს მისულიყო სერბიიდან სოფიაში, „გადასდო“ თავისი მოსვლა რამოდენიმე კვირით.

## შრომის სიმღერა

[illegible]

18 აპრილი

[illegible]

---

[illegible]

... ფრად მოწყობილი. თითოეულ წვრს ეძლევა ორი თავი ლონიერი და ჯანმ- ... [illegible] ... ჩევი ყველასათვის ... შესვლა ყველასათვის უფასო-თავისუფალია.

---

[illegible]

... საქართველოს დამოკიდებულების ... სახელმწიფოში, შეძლებს გამორიცხოს შტეინეცის საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ მუშაობის განზრახვა. სადაც ისინი აცხადებენ მენშევიკურ პარტიიდან გასვლას და სურვილს რუსეთის კომუნისტური პარტიის რიგებში ჩადგომის განზრახვას.

# ქრონიკა

— ამიერ კავკ. რკინ. გზების რევტრიბუნალში. 24 აპრილს საღ. მოს 6 საათ. მუშათა ცენტრალ. კლუბში პლეხანოვ. პროსპ. № 123 სახალხო მსაჯულების და დამცველთა დასწრებით ამიერ კავ. რკინ. გზების რევტრიბუნალის მიერ დანიშნულია გასარჩევად საქართველოს საგანგებო კომისიის სატრანსპორტო განყოფილების გამომძიებლების სერგი საბიასის და ლოპოვის საქმე, რომლებსაც ბრალად ედებათ უფლებათა გადაჭარბება, სამსახურის მდგომარეობის პირადი მიზნებისათვის მოხმარება. შესვლა ყველასათვის თავისუფალია.

# თეატრი და ხელოვნება

**მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია.**

დიდი ხანია თბილისის ახალგაზრდობა ელოდა სამხატვრო სტუდიის გახსნას და როგორც იყო ეს მოხერხდა მოსე თოიძის დიდი ენერგიის და ამ საქმის სიყვარულით. მაშინ, როდესაც ევროპიულ ქალაქებს მრავლათ მოეპოვებათ სამხატვრო სტუდიები თავის მცხოვრებთა ნიჭის და ცოდნის მედების განვითარებლად, თბილისს, საქართველოს დედა-ქალაქს, ერთი სტუდიაც არ უსახლო სამხატვრო სკოლა არ ჰქონდა, რომ მის ახალგაზრდობას შესძლებოდა თავისუფლად სული მოეთქვა, რჩევა დარიგება მიეღო. ვინ იცის რამდენი ნიჭი დაიღუპა უყურადღებობით. მართალია იყო ერთი სამხატვრო სასწავლებელი, რომელიც ეხლა მონათლა სამხატვრო აკადემიის სახელწოდებით, მაგრამ ამგვარი ტიპის სასწავლებელი არაფერს აძლევდა იმ ხალხს, იმ ახალგაზრდობას, რომელიც ლუკმაპურის საძიებლად დადის და მუშაობს სხვადასხვა დაწესებულებებში სწორედ იმ დროს, როდესაც აკადემიაში სწავლაა.

მოსე თოიძის სტუდია ცხოვრების შესაფერია ყოველ მხრივ. დროის განაწესებით; ფორმალურ დაბრკოლებათა მისპობით, ცენზის, წლოვანობის და სხვა მხრით ახალი და ნაყოფიერი მეთოდით სწავლა, ცოცხალი ნატურა და იქვე მხატვართა და თვით პროფესორის მუშაობის ცოცხალი მაგალითი.

სულ ორი თვეა რაც სტუდია გაიხსნა და საქმე კი ძალიან გაფურთარდა; მხოლოდ ყველასათვის ცხადია, რომ ამისთანა კულტურულ საქმეს მთავრობის დახმარება ესაჭიროება. ჩვენი მოწაფეების უპიტესობა ღარიბია და სწავლის ფასს ვერ იხდის. სტუდიას კი ხარჯები აქვს. საკვირველია რომ ხელოვნებას ეტყვის უფრო ღარიბი ახალგაზრდობა თბილისისა, რომელიც არაფერს არ ზოგავს ამისთვის და მდიდარი ნაწილი კი, რომელიც უფრო სპეკულიანტებისაგან შედგება, არ იმეტებს არაფერს სულიერ განვითარებისთვის და თვის ბედნიერებას ხედავს მხოლოდ პირის გემოში. რომ ქალაქ თბილისში ურიცხვია გასტრონომიული მაღაზიები. რაც ერთ გასტრონომიულ მაღაზიის გამართვას სჭირდება ის თანხა ხუთ სტუდიას მოაწყობდა თბილისში, მაგრამ ეს არავის მოსდის ფიქრად. ამისთანა საქმე თხოულობს სიყვარულს და მხნეობას.

გაუმარჯოს ჩვენ მასწავლებელს მოსე თოიძეს, რომელიც არც ერთს და არც მეორეს არ ზოგავს ხელოვნების აღყვავებლად და გვიკაფავს გზას კულტურისაკენ.

ერთი მოწაფეთაგანი.

# სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

**სათესლე ხორბლეულობის განაწილება**

ცენტრალური სათესლე კომიტეტის რწმუნებული ამხ. ეველსი დაბრუნდა ბათომიდან, სადაც მან ჩაიბარა გადმოტვირთული საზღვარგარეთიდან მეორე პარტია ავსტრალიის ხორბლისა 50 000 ფუთი და გაანაწილა საქართველოს მაზრებს შორის მინდვრების დასათესად. ადგილებიდან უკვე მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ხორბლით დატვირთული ვაგონები უკვე ჩავიდენ თავიანთ დანიშნულების ადგილას, რომ დაიწყო ინტენსიური გადაცვლა ხორბალისა ადგილობრივ სიმინდზე, რომლის დათესვაც უკვე დაწყებულია. მხოლოდ ახალ ქალაქის მაზრაში და თბილისის მაზრის წალკის რაიონში სწარმოებს ხორბალის ქერზე გადაცვლა. თესვა გაგრძელდება კიდევ 20 დღის განმავლობაში. ხორბალის მეორე პარტიის მიღება და განაწილება ძლიერ ჩქარა მოხდა—4 დღის განმავლობაში 10—13 აპრილს და ხორბალიც დანიშნულების ადგილზე თავის დროზე მიდიოდათ.

**ბორჩალოს მაზრაში**

ამ ბოლო დროს პარტიულ ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიქცეული იყო თესვის კამპანიისაკენ. ეს მუშაობა დაიწყო ფართო აგიტაციით ყველა რაიონებსა და თემებში, რომლის მიზანიც იყო გლეხობისათვის ამ მოვლენის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება. აგიტაციის, ახსნა-განმარტების და გათვითცნობიერების ამოცანა შესრულებულ იქნა პასუხისმგებელ მუშაკებისაგან, რომელნიც მოხსნილ იყვნენ სამაზრო კომიტეტის მიმდინარე მუშაობიდან და დაგზავნილი მაზრებში. სააგიტაციო ... თან ერთად მობილიზაციით გაწვეული ამხანაგები აიჩქარდენ და სწყვეტდენ ადგილობრივი ხასიათის კონფლიქტებსა და გაუგებრობებს ნიშის საკითხის თაობაზე, რომელიც აბრკოლებდა გაზაფხულის კამპანიას. პრაქტიკულად მიიღწეოდა დათესვის საქმე შემდეგ მდგომარეობაშია: მიღებულ იყო სათესლე მასალის 6 ვაგონი, 6.000 ფუთი, რომლიდანაც 4 ვაგონი საზამთრო პურისა, ერთი ვაგონი „გამბორო“. სამაზრო სასურსათო კომიტეტიდან მიღებული იყო 500 ფუთი ხორბალი, 100 ფუთი კარტოფილი, 400 ფუთი სიმინდი, 200 ფუთი ქერი, 60 ფუთი ფეტვი, და 60 ფუთი შვრია. მთელი ეს სათესლე მასალა გადაეცა თემის აღმასრულებელ კომიტეტებს მცხოვრებლებისათვის დასარიგებლად. სულ მთელ ბორჩალოს მაზრაში დათესილია 61,120 დესიატინა; დაახლოებით 18.000 დესიატინა დათესილია საზამთრო და გაზაფხულის პურით, ხორბლით 10 120 დესიატინა, სიმინდი და ბოსტანი ბაღი 4,000 დესიატინა. დათესილია ყველა მინდორი, რისი დათესვაც კი შეიძლებოდა ადგილობრივი და სახელმწიფოს მიერ მოწოდებული სათესლე მასალით. თუ გამოგზავნილი იქნება ალთქმული 6 ვაგონი სიმინდი მაშინ ერთი ნაკვეთიც კი არ დარჩება დაუთესავი. გლეხობა ამ მუშაობაში დიდ შეგნებასა და სიმტკიცეს იჩენს. დამშეული სოფლები, რომელთაც არა აქვთ დღისა და ხვალისათვის ლუკმა პური, მაინც უკანასკნელ [illegible] ხორბალით თავისი მინდვრების თესვას აწარმოებენ. ამინდი ძლიერ ხელს უწყობს მუშაობას. მოსავალი ალბათ ძლიერ კარგი იქნება. თუ მივცემთ მაზრას ალთქმულ მასალასაც, მაშინ ბორჩალო შეძლებს ამ წლის მოსავლით არა მარტო თავის თავის გამოკვებას, არამედ განსაზღვრულ პროცენტს მოსავლისას მისცემს ქალაქს. გასულ წელს დაუთესავი ადგილის სივრცე უდრიდა 25 პროც. თუ ახლო მომავალში არ მივიღებთ უამინდობას, გვალვას, ჭირის გაჩენას, სამოქალაქო ომსა და სხვ.

მიმდინარე წელში მდგომარეობა შეიცვალა. უეჭველად ყოველივე ხელს უწყობს დიდი მოსავლის მოწევას. აქ როა მხოლოდ, რომ ალთქმული სიმინდი თავის დროზე მოგვაწოდიონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის მოზრდილი ნაწილი დაუთესავი დარჩება.

**ახალქალაქის მაზრაში.**

თესვის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. [illegible] ჩვენ თანამშრომელს გადასცა, რომ ახალქალაქის მაზრის თესვის კომიტეტმა მიიღო თესვის ცენტრალური კომიტეტიდან 6000 ფუთი ავსტრალიის ხორბალი და ეხლა ელოდება კიდევ 5000 ფუთს ასეთივე ხორბალს. ამას გარდა სამაზრო სასურსათო კომისარიატი დაჰპირდა გადასახადიდან 2000 ფუთ ქერის მიცემას. ამრიგად მაზრის მცხოვრებლები მიიღებენ საჭირო სათესი მასალის თითქმის ნახევარს, რადგანაც ავსტრალიის ხორბალს ჩვენ ვცვლით ადგილობრივ ქერზე თესვის კომიტეტის, თემის აღმასკომების და [illegible] კომიტეტების ზედამხედველობის ქვეშ, დაახლოებით 1 ფუთ ხორბალს ფუთნახევარ ქერზე. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მაზრის 6 წილს მოსახლეობა დათესავს თავისი საშუალებით, წელს მცხოვრებლების განკარგულებაში დაახლოებით 54000 დესიატინა მიწიდან დაითესება 75 პროცენტი.

როგორც ცნობილია მაზრის მოსახლეობა, ისე სათესი სივრცე 1918 წ. ოსმალეთის ჯარების შემოსევის შემდეგ და 1921 წელში მომხდარი ამბების გამო, ძლიერ შემცირდა. 1918 წელს მაზრის მთელი მოსახლეობა გაიქცა ლტოლვილად, ეხლა 100,000 მცხოვრებლებიდან დარჩა დაახლოებით 70000, და ამით [illegible] თესვის სივრცე შემცირდა 54000 დესიატინამდე.

მცხოვრებლების სახლები ძლიერ დარბეულია, და ქონება დატაცებული.

1918 წელს ოსმალებმა მაზრიდან გაიტანეს დუხობორების ცნობით 10 მილ. ფუთამდე [illegible] მარცვლეულობა, და მაზრა ეხლა რომელსაც უწოდებენ „საქართველოს უკრაინას“ განიცდის ძლიერ კრიტიკულ მდგომარეობას. შარშან [illegible] რომელმაც ძლიერ გაანადგურა საქონელი, მეჯოგეობა [illegible] დაეცა, და მცხოვრებლების მთავარი ყურადღება მიქცეულია პურის მოყვანაზე. მაზრის უმთავრესი კულტურაა ქერი, ხორბალი, სელი და კართოფილი. ქერის და ხორბლის თესვა დაიწყო ამ თვის ნახევრის უკან და გაგრძელდება 20 დღეს, რის შემდეგ შეუდგებიან კანაფის და მერე კართოფილის თესვას. ბათუმიდან მაზრაში ხორბლის გადატანა ეხლა ხდება ძლიერ მძიმე პირობებში, რადგანაც ბოგდანოვკიდან ახალქალაქამდე [illegible] გზით დადიან. ამის გამო ეხლა სათესი მასალის გადატანა ცხენ-ურმებით შრომის ბეგარის საშუალებით.

# ბრძოლა შიმშილობასთან

**საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ**

შემოვიდა შემდეგი შემოწირულობანი:

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ კავშირიდან 10.000,000 მანეთი.

საქართველოს სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებიდან 15.000000 მანეთი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან 25 000,000 მ. ნ.

საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოდან 2.500,000 მან.

მოქალაქე პუპესაგან 100,000 მანეთი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან 200,000 მან.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტიდან 15.000,000 მ.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოსაგან 30.000.000 მ

შინაგან საქმეთა კომისარიატიდან 1.000,000 მან.

შრომის სახალხო კომისარიატიდან 1 000.000 მ. ნ.

იუსტიციის სახ. კომისარიატიდან 2.000 000 მან.

თამბაქოს ტრესტიდან—25.000,000 მანეთი.

საქართველოს მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან 10 000,000 მან.

თბილისის ქალაქის მუშათა და გლეხთა მილიციის მე 5 კომისარიატის თანამშრომლებმა მოისმინეს რა სხდომაზე მე 5 რაიონული კომიტეტის მდივან ამხ. ზიგუროვის მოხსენება საქართველოს დამშეულებზე, დაადგინეს შესწირონ თავის დამშეულ ძმებს ფულით მოსამსახურეების ჯამაგირის ანგარიშიდან სულ 3 110 000 მანეთი და პური 23 დღის განმავლობაში ერთი მეოთხედი გირვანქა თვითეული მოსამსახურიდან.

---

შემდ, რომ მივაჩვიოთ ხალხი „ჩექმის გაწმენდას“. ზოგიერთი ამხანაგები ოხუნჯობდენ ამ „ჩექმის გაწმენდაზე“, მაგრამ ეს ასეა. ჩვენ ვასწავლიდით არ დავყაროთ იატაკზე პაპიროსის ნამწვავები და სხვ. ეს წვრილმანებია, რომელიც ჩვენი დიდი პერსპექტივების შემდეგ, რომელზედაც უკვე ახლა ვამბობთ, ქმნის ყოველდღიურ ცუდ შთაბეჭდილებას.

მაშ რას ნიშნავს ეს? რევოლუცია დაბრკოლდება ამაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, კვლავ იმის განმეორება, რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ, იქნება ყოყლოჩინობა, ფუქსავატობა, უკეთეს შემთხვევაში დილეტანტობა, ე. ი. ყველაზე უფრო მწარე და დაწყევლილი ჩვენი ავათმყოფობა. უეჭველია, ამ ხნის განმავლობაში იყო ერთგვარი გაუმჯობესება, მაგრამ იგი არც ის არის და არც ეს, არც წყალია და არც ღვინო. აქ ერთი ამხანაგთაგანი ამბობდა, რომ შეიძლება კვლავ ომი დაიწყოს, კიდევ იქნება სამხედრო კომუნიზმი და სხვ. ეს სავსებით მართალია. მაგრამ ჩვენ ომზე კი არ ვლაპარაკობთ, არამედ მშვიდობიანი დროის დღევანდელ მუშაობაზე. ამისათვის აუცილებელია სპეციალიზაცია, რომელიც მდგომარეობს ამა თუ იმ განსაზღვრული პროფესიის, წარმოების თუ ხელოვნების დეტალების შესწავლაში. უამისოთ ჩვენ წინ ვერ წავალთ. ეს ყველაფრისა და ყოველივეს საფუძველია. ჩვენ ამის თაობაზე კიდევ გვექნება ლაპარაკი, რაკი თქვენ მოისმენთ სამხედრო საქმეებზე მოხსენების მოსმენა; ჩვენ ამას შევეხებით, ყოველ შემთხვევაში, სამხედრო წარმომადგენლების თათბირზე, რამდენათ მას სამხედრო საქმესთან კავშირი ექნება. ცხადია, რომ პარტია, თავის ორგანიზაციების საშუალებით ვერ გადასწყვეტს ამ საკითხებს. მაგრამ ყველას გონია, რომ თუ ეს საკითხი დაისვა განსახილველად საგუბერნიო კომიტეტში ან ორგანიზაციო ბიუროში, ან და ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკურ ბიუროში, მისი გადაწყვეტა თავისთავად გაადვილდება. და იგივე მეურნე, რომელიც ვერ უძღვებოდა თავის სამეურნეო მუშაობას, როდესაც განაგებდა სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭოს, თუ იგი დანიშნეს საგუბერნიო კომიტეტის მდივნათ თითქოს მაშინვე იღებს „ზეგარდმოცხებულ ნიჭს“, რომლის ძალითაც დაუფიქრებლივ სწყვეტს ყველა სამეურნეო, სამხედრო, ადმინისტრატიულ და სხვაგვარ საკითხებს; და სწყვეტს არა პრინციპიალური ხასიათის თვალსაზრისით, ვინაიდან ამ ჟამად პრინციპიალური ხასიათის საკითხები აგრე ხშირად აღარ გვხვდებიან, არამედ წმინდა კონკრეტიული გადაწყვეტილების თვალსაზრისით—თუ რამდენი ფუთი ნავთი მისატანი არის თუ იმ ადგილას, რამდენი კუბიკური საჟენი შეშისა და სხვ. რა შედეგებს ვიღებთ ასეთ მუშაობიდან? შედეგი ის არის რომ საგუბერნიო კომიტეტი იღებს საბჭოთა უდიფერენციალო, განუცალკევებელ და უსპეციალო აპარატის სახეს. ნაჩქარევი, ნაუცბათევი აპარატის ფორმას. რასაკვირველია ის, რაც ბიუროკრატიზმის ყველაზე უფრო ცუდი ნაკლი იყო,—საქმის არსებითი მხარის უცოდინარობა, მაგრამ მისდამი ფორმალური დამოკიდებულების სრული სიზუსტე—ეს ნაკლი აუცილებლობით ეთვისება პარტიულ აპარატს.

სუმმარული გადაწყვეტა ყველა საქმეებისა, აი რაში მდგომარეობს ბიუროკრატიზმის ყველაზე უფრო დიდი უბედურება, სახელდობრ, იმაში, რომ იგი საქმის არსებით მხარეს კი არ აქცევს ყურადღებას, არამედ მისი გადაწყვეტის ფორმას. მე ვიმეორებ, გადავწყვეტთ სუმმარულად ყველა საკითხების გადაწყვეტის დროს, არა პრინციპიალურის, არამედ მიმდინარე, საქმიანი ხასიათის საკითხებისა, ბიუროკრატიზმი აუცილებლად იჩენს პარტიულ აპარატში და ამასთან ერთად მაშინ საბჭოთა ორგანოებიც კარგავენ თავიანთ სახეს.

არც ერთი მუშაკთაგანი, არც ერთ პოსტზე არ ანგარიშობს იმას, რომ იგი ამისათვის პასუხისმგებელია მთელი თავისი არსებით, ანდა საქმიანი მოღვაწის სახელით, რაიც არც თუ მცირე საპასუხისმგებლო საქმეა. ის მოღვაწე, რომელიც მოკლებულია პასუხისმგებლობის აუცილებელ გრძნობასა და ხასიათს, თვით არის მიზეზი ფორმალური შეიარაღების საგუბერნიო ან სამაზრო კომიტეტში, ან და კიდევ პოლიტიკურ ბიუროში, რათა თავიდან მოიშოროს ეს პასუხისმგებლობა. ეს, მთელ ჩვენ მუშაობაში, ყველაზე უფრო საშიშარი გარემოებაა. მე სავსებით ვეთანხმები და ვესალმები იმას, რომ ამხ. ლენინმა ეს საკითხი თავის მოხსენებაში ასე გადაჭრითა და პირდაპირ დააყენა. იგი, რასაკვირველია, არა თუ ახლა უნდა დაუშვათ, არამედ უნდა მივაღწიოთ იმასაც, რომ პარტიის მთელ მოქმედებაში, ისეთ საკითხებთან ერთად, რომელთაც მართლა აქვსთ პოლიტიკურ ხელმძღვანელობითი მნიშვნელობა, არ იყოს ცხრა მეათედი ისეთი საკითხებისა, მიმდინარე და პრაქტიკულის, რომელიც მოითხოვს სპეციალურ, საქმიან დამოკიდებულებასა და საქმიან პირადი პასუხისმგებლობას იმათგან, ვინც იგი წამოაყენა. მმართველი პარტია არ გულისხმობს ისეთ პარტიას, რომელიც უშუალოდ განაგებს ყოველი საქმის დეტალებს, და ეხლა სრულებით სამართლიანად იყო მითითებული, რომ ამ ჟამად პარტიას აქვს დიდი ამოცანა ახალი თაობის აღზრდისა. მაგრამ ამავ დროს ასეთ პირობებში, ამ ამოცანას ჩვენ ვერ შევასრულებთ იმ საჭირო და აუცილებელ ფარგლებში, რომელშიც შეიძლებოდა მისი შესრულება.

პარტიულ ახალგაზრდობისათვის პოლიტიკური შეგნების მიზიდების გამოცდილების გადაცემა—არის ფრიად რთული ამოცანა, რომელიც შეიძლებოდა უმთავრესად გადაეწყვიტათ პედაგოგიური საშვალებებით, რადგანაც კლასიური ბრძოლის ის გამოცდილება, რომელმაც შექმნა და გაიარა ძველმა ნაკებმა წარსულ პერიოდში, ე. ი. ბურჟუაზიული რეჟიმის დროს,—ეს გამოცდილება თანამედროვე ახალგაზრდობას არა აქვს. იგი ეხლა იზრდება, ცხოვრობს დღევანდელ არევ დარევის ხანაში, მომავალი სოციალისტური მეურნეობის უხეში შენების პირობებში და მით უფრო ახალი ეკონომიური პოლიტიკისაგან გამოწვეულ გართულებულ შედეგების დროს და სხვა როგორ ხდება ჩვენში ჩვენი პარტიული ახალგაზრდობის შეგნების განვითარება? ეს ძლიერ ძნელი და მასთან რთული საკითხია. აქ არ არის არაფერი გარკვეული, ტაქტიკე და პირდაპირი. აი ვეთ ახალგაზრდა მუშა. მის წინ სდგას ხელოსანი, კაპიტალისტი, ბოქაული.

მას უხდება მათთან შეხვედრა, ებრძვის მათ და ყოველივე ეს ქმნის მის არსებას. სწორეთ ეს იყო ის საფუძველი, რომელზედაც რევოლუციონური მუშათა კლასის ძველი თაობა იქმნებოდა და ვითარდებოდა. ამ ჟამად კი რა პირობებია ახალგაზრდა მუშისათვის? იგი უკმაყოფილოა, მაგრამ მას უხსნიან, რომ ეს—ჩვენი წყობილებაა, ამგვარია ჩვენი პოლიტიკა. მუშამ აღარ იცის როგორ გამოსთქვას თავისი უკმაყოფილება. მასში ვერ იქმნება საფუძველი ბრძოლის კლასობრივი გამოცდილებისა. როგორ მოვახდინოთ ამის ანაზღაურება? ამის ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ მისი თეორიული განვითარების გაძლიერებით—მარქსიზმისა და მატერიალიზმის მიმართულებით. ეს პარტიის ძლიერ მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია, რომელიც სრულებით არ სრულდება სათანადო მაშტაბით და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა მუშების აღზრდა-მომზადება ძლიერ დიდ მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია. წინ კიდევ მრავალი დიდი ამოცანები გვაქვს. არა ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ევროპის რევოლ. მასთან დაკავშირებული ხელისუფლ. შეცვლაც მოხდება ნახევარი წლის ან ერთი წლის შემდეგ. ამიტომ ამ ჟამად, ჩემის ღრმა რწმენით, პარტიის არა აქვს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანა (რასაკვირველია მე არ ვეხები არსებულ წყობილების შენარჩუნებასა და საერთო პოლიტიკურ მიმართულებას), ვინემ მუშათა და გლეხთა ახალთაობის აღზრდა-განვითარება.

რასაკვირველია, თუ ჩვენი მდგომარეობა აძნელებს ახალგაზრდა მუშათა აღზრდა-განვითარებას, სამაგიეროთ ახალგაზრდა გლეხობის აღზრდას იგი აადვილებს, ვინაიდან ის, როგორც გლეხი, დეკლასიური ხდება. იგი ეჩვევა ახალი სიტყვების უფრო ადვილად შეთვისებას. და ლენინის კარგათ და მართლაც სათანადოთ დაყენების დროს, ჩვენ შევძლებთ მის წრიდან ისეთი ელემენტების დიდი რიცხვი ამოვყრიდეთ, რომელთაც ჩვენთვის საჭირონი არიან. ჩვენ ამას შევძლებთ, თუ აღზრდის საქმეს დავაყენებთ დეტალების, სიზუსტის, გარკვეულობის, კეთილსინდისიერობის და პასუხისმგებლობის ნიადაგზე და დავაყენებთ არა ისეთი კონტროლიორების ყურადღების ქვეშ, რომელთაც თვითონ არაფერი ესმით; არამედ კრიზისის კონტროლის ქვეშ.

აქ ამბობენ, რომ კრიზისს შეუძლია დაანგრიოს წარმოების ცხოველმყოფელობა. ცხადია, კრიზისს შეუძლია ფეხვეშ ამოიღოს წარმოება, მაგრამ არა ის ხალხი, რომელნიც მუშაობს. რასაკვირველია, თუ ესა თუ ის ქარხანა ჩვენთვის საჭიროა, და ის კი დაუფიქრებლად ეძებს ტრესტს, დაივიწყეს, რომ სათბობი მასალა ჯერ არ მოუტანია და სხვ., მაშინ საჭიროა ასეთ წარმოებას პარტია დაეხმაროს, ხოლო ისინი კი, ვისაც ასეთი გარემოება ავიწყდება დაისაჯონ. თუ ჩვენთვის ძირითადი საკითხია,—გლეხობასთან საერთო ენის გამონახვა, საკითხი წმინდა სოციალური, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, (სანამ არ არის შესაძლებლობა დავეყრდნოთ ევროპის გამარჯვებულ მუშათა კლასს), მაშინ ევროპისათვის დღესდღეობით სამეურნეო ნაყოფიერების თვით შემოწმებაა [illegible] მიცემობის კალკულიაციის იმ მეთოდების მეოხებით, რომელიც შექმნა კაპიტალისტმა. ვინაიდან ამ ჟამად რომ გერმანიაში მუშათა კლასმა ხელში ჩაიგდოს ძალა უფლება, ჩვენ, უეჭველია არ მივცემდით მათ რჩევას ყოველივე გააერთიანონ და სათავეში ჩაუყენონ მას სახალხო მეურნეობის საქმე ერთგვარი მოთხოვნილებითა და განაწილებით. ცხადია, მათ შეეძლოთ უფრო შორს წასვლა, ვინემ ჩვენ, მაგრამ მათ მოუხდებოდათ (თუ ისინი სამხედრო პირობების მიხედვით არ აღმოჩნდებიან იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ჩავვარდით)—გერმანიაში, და განსაკუთრებით საფრანგეთში, მოეხდინათ ეს რევოლუცია უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვინემ ჩვენ. ამიტომ სოციალისტური აღშენებლობის თვალსაზრისით მათ შეეძლოთ ჩვენზე უფრო შორს წასვლა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, პირველ ხანებში, და შეძლება დიდი ძლიერ დიდი ხნის განმავლობაში, ისინი იძულებულნი გახდებოდენ მიემართათ კალკულიაციის კაპიტალისტური მეთოდებისათვის.

მაშ, როგორღა ვაწარმოებთ ომს, ამბობს ამხანაგი ლარინი, თუ ომი დაიწყო და ყველაფრის გაუქმება მოგვიხდა? მაგრამ ამხ. ლარინი ამ ბუქსობის დროს არ ფიქრობდა იმაზე, რომ აქ არის ძლიერ მნიშვნელოვანი საკითხი, საკითხი ყოფნისა და მეურყეობისა. დიდი უმრავლესობა ჩვენი წითელ არმიელებისა ხომ გლეხობაა. თავის ოჯახში ისინი ამბობენ: მოგვეცით ჩვენ თავისუფალი ბაზარი, მაგრამ თავისუფალ ბაზარს თავის შედეგათ აუცილებლად მოსდევს რესტორანი „იარი“. რესტორანი „იარი“ მხოლოდ ყვავილია, შეიძლება სრულებითაც არა სუნნელოვანი, რომლის ძირიც პურით თავისუფალ ვაჭრობაშია ჩანერგილი. იგივე წითელი არმიელი, როდესაც ჩამოდის ქალაქში და ხედავს რესტორან „იარს“ ამბობს: „როგორ, განა ჩვენ ბურჟუაზიისათვის ვიომეთ?“ როგორც გლეხს მას აინტერესებს თავისუფალი ვაჭრობა, მაგრამ როგორც მშრომელი ადამიანი, იგი აღშფოთებულია. მაგრამ ლარინს აქედან გამოყავს რაღაც თავისებური ფილოსოფია და ამბობს, რომ იგი ამის გამო აღარ მოისურვებს ბრძოლას. მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მის შეგნებაში რესტორან „იარმა“ დასძლია ყოველივე. მაშინ ჩვენი არმია ცუდი ყოფილა, მისი ხელმძღვანელი ორგანოები არ ყოფილან თავის ადგილზე, თუ კი მათ ვერ შეძლეს არსებული მდგომარეობის მისთვის განმარტება. პროლეტარიატი იომებს არა რესტორან „იარისათვის“, არამედ რევოლუციონური კლასიური თვითშეგნებისათვის და თუ ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქრებს მთელი ევროპის ბურჟუაზია, ჩვენ შემოვიღებთ შეიძლება, სამხედრო კომუნიზმს, მაგრამ უფრო დაუზოგველს, ვინემ იგი სამოქალაქო ომის დროს იყო.

მაგრამ ეს იქნება ჩვენი იძულებითი სამეურნეო გეზის საწყენით ჩამოშლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია დიდი ხნით მშვიდობიანი არსებობისათვის, მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის, ვაჭრობისათვის ბურჟუაზიულ ქვეყნებთან საქმიანი თანამშრომლობისათვის და ცხადია, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობათ აქვსთ დიდი შესაძლებლობა ჩაშალონ ყოველივე, თუ კი ისინი ეხლა დაიჭირენ ვრანგელს, პეტლიურასა და სავინკოვს, რის შესახებაც ჩვენ გვაქვს სათანადო ცნობები. ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ ამგვარ კოალიციონერ შეტევას, შეუძლია ჩაშალოს იგი, შეუძლია გვაიძულოს ჩვენ უარი ვსთქვათ ამ გრძელვადიან მუშაობაზე, ისევე, როგორც აქედან გამოვიდოდა ის უკიდურესი გაუქმება, როგორც მაგალითად გასაკუთრებულ კომისიის გაუქმება, მისი უფრო ვიწრო ორგანოთი შეცვლით.

ახლა შემოტევას შეუძლია ჩვენ გვაიძულოს შემოვიღოთ ტერორის ისეთი საშუალებები, რომელიც უფრო დაუზოგველი იქნება, ვინემ წარსულ ეპოქაში არსებული და ნაცადი.

აი, რატომ არის ჩვენთვის, როგორც პარტიისათვის, აუცილებელი შევინარჩუნოთ მთელი თავისუფლება ამ მანევრების დროს. შეიძლება ჩვენი მტრები, ან ის ხალხი, რომელიც არც მტერია და არც მოყვარე, სხვადასხვა საბუთების მიხედვით და სხვადასხვა საშუალებით, ფიქრობენ, რომ რადგანაც ჩვენ დაუშვით სპეკულიაციის არსებობა, ამიტომ ვალდებულნი ვართ სპეკულიანტური იდეოლოგია და სპეკულიანტები მივიწვიოთ ხელისუფლების სათავეში; ასეთი დასკვნის გამოტანა პოლიტიკური გეომეტრიის და პოლიტიკურ განყენებული ლოღიკის თვალსაზრისით, შეიძლება სამართლიანიც იყოს, მაგრამ ჩვენ მათ უპასუხებთ, რომ ჩვენ, როგორც მუშათა კლასს, როგორც მმართველ პარტიას, შეგვიძლია მეურნეობაში დავუშვათ სპეკულიანტი, მაგრამ პოლიტიკურ სფეროში ჩვენ მათ არ გავუშვებთ და ვიტოვებთ შესაძლებლობას, თუ ეს სპეკულიანტი, უცხოელ სპეკულიანტებთან ერთად მოისურვებს ჩვენთვის სასიკვდილო მახვილის ჩაცემას, ჩვენ ვიტოვებთ შესაძლებლობას უკანვე დავიბრუნოთ თავდაცვის მთელი არსენალი, სამხედრო კომუნიზმიცა და დაუზოგველი ტერორიც.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

### ბათუმში შემოზიდული საქონელი.

**მარტში.** მარტის პირველ ნახევართან შედარებით მეორე ნახევარში სხვა და სხვა კატეგორიის საქონლის შემოტანამ საგრძნობლად მოიმატა. მომატება გამოიხატებოდა ტონებით შემდეგში:

| | 1—15 მარტი | 16—31 მარტი |
|---|---|---|
| ფქვილი | 360 | 2.456 |
| ნარმა | 51 | 70 |
| თეთრი თუნუქა | 40 | 89 |
| ტყავი | 1 ნახ. | 25 |
| ფართლეული | 27 | 65 |
| ბრინჯი | 10 | 46 |
| საპონი | 24 | 87 |

შაქრის შემოტანამ კი თვის მეორე ნახევართან შედარებით 1500 ტონიდან, დაიკლო 960 ნახ. ტონამდე. სახარინის და სოდის შემოტანა თითქმის არ შეცვლილა. შემოზიდვის საერთო ჯამი მარტის მეორე ნახევარში უდრის 4,528 ტონს წინააღმდეგ 2.964 ტონ. რომელიც შემოტანილი იყო პირველ ნახევარში, ე. ი. შემოტანამ მეორე ნახევრში მოიმატა 53,1 პროც.

შემოტანის გაზრდასთან დაკავშირებით ზოგიერთ საგნებზე ფასებმა საგრძნობლად დაიწია. მაგალითად 15 მარტს პირველი ხარისხის ფქვილი ღირდა ერთი ტომარა 16 ლირა, პირველ აპრილს კი დაიკლო 11,50—12 ლირამდი. 15 მარტს ნარმა ccc ღირდა 10 50 ლირ. 1 აპრილს—9,50 ლირა. 72 პროც. მარსელის საპონმა 15 მარტს 15 ლირიდან დაიწია 13,50 ლირამდე.

—

### თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივში.

თბილისის მუშათა მთლიანი კოოპერატივის გამგეობის პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე სარევიზიო კომისიასთან ერთად მოსმენილ იქმნა განყოფილებების გამგეების მოხსენება კოოპერატივის ოპერაციების შესახებ.

26 მარტიდან 11 აპრილამდი კოოპერატივში ჩაეწერა 165 წევრი, რომლებმაც შემოიტანეს 165 ათასი მანეთი შემოსავლელი და 825 ათასი მანეთი საპაიო გადასახადი.

კოოპერატივის დუქნების ტრიალი მარტში გამოიხატება შემდეგ თანხებში: დუქანი № 1—823.420 000 მან., № 2—317.179,000 მან, № 5 76 310,000 მან, № 7—233,967 000 მან., № 8—226,746,000 მან, № 10 619.347,000 მან., რძის და გასტრონომიული დუქანი—261 888,000 მან., თევზის სავაჭრო—352 142,000 მან., ღვინის—19 279,000 მან., სარძევე პუნქტი—569 961,000 მანეთი. სულ 3.841 581,000 მან ამ თანხაში არ შედის პასუხისმგებლო და საერთო ფულები, რომლებიც აღემატებიან 2 მილიარდ მანეთს.

ამ ხნის განმავლობაში კოოპერატივის მომარაგების განყოფილებამ დაამზადა: 1 ვაგონი გაზარევი ფქვილი, 2 ვაგონი კარგი ფქვილი, ზეთი 15 ფუთი, ღვინო—265 ვედრო, ნავთი—1200 ფ., ქვა-მარილი—2 ათასი ფუთი, ზღვის მარილი—4 ვაგონი, თევზი—2100 ფ., შაქრი—ასი ფუთი, ყველი და შაბიამანი საქონელზე გასაცვლელად ხუთასი ფუთი.

შემსყიდველებისაგან შემოვიდა: თელავიდან მუშათა კოოპერატივიდან საქონელზე გადაცვლით ორასი ვედრო ღვინო, კახეთიდან 137 მილიონი მანეთის ლობიო, სიმინდი, თხილი, ნიგოზი და სხ.

გაცემულია კოოპერატივიდან საქონელზე გადასაცვლელად და შესასყიდათ: ახალქალაქის მაზრაში მარილი 844 ფუთი, 191 მილიონი მანეთის სხვა და სხვა საქონელი და 75 მილიონი მან. ფულად, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებში 28 მილიონი მანეთის, ზუგდიდის მაზრაში მუშათა კოოპერატივს და რწმუნებულს სხვა და სხვა საქონელი; ბაქოში შესასყიდათ—1300 მილიონი მან. საბჭოთა ნიშნებით და სხვ.

# პროვინციაში

### სიმშილობა გორის მაზრაში.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ გორის მაზრა ერთ-ერთ მდიდარ მაზრათ ითვლებოდა მთელს საქართველოს რესპუბლიკაში, მაგრამ წარსული წლის გვალვამ და მენშევიკების მიერ გამოწვეულმა სამოქალაქო ომმა უანდერძა როგორც საქ. რესპუბლიკას საერთოდ, ისე თვით გორის მაზრასაც თავისებური შედეგები, როგორც არის სიღატაკე, სიმშილობა და სხვა.. ჩვენ ვიცით, საქართველოს სხვა და სხვა მაზრების და კუთხეების უდიდესი სიმშილობა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს გორის მაზრის მცხოვრებნი უკვე ფაქტის წინაშე დადგნენ და ამ მაზრის კუთხეებშიც დაიწყო შავბნელი სიმშილობა. ასეთი ხარეები არის მაგ. ბორჯომის რაიონი, ხაშურის, ტყვიავის, ქვემოქალის, ცხინვალის და სხვა მრავალი თემები. ყოველ დღე თითქმის განუწყვეტლივ მოდიან ადგილობრივ თემების და სამაზრო ცენტრის აღმასკომში სიმშილისაგან შეწუხებული უღარიბესი გლეხობა და თხოულობენ დახმარებას, ყოველ დღე მოდის სხვა და სხვა თემებიდან კოლექტიური განცხადებები ღარიბი გლეხობიდან სადაც აღნიშნავენ თავის გაჭირვებას და თხოულობენ შველას. ყოფილა შემთხვევა, რომ ღარიბ-ღატაკთ თავის პატარა უსუსური ბავშვები მიუგდიათ აღმასკომისათვის. ასეთი შემთხვევა იყო ბორჯომის რაიონში აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. რუხაძის ცნობით. ყოველივე ამას ხედავენ ადგილობრივი კულაკები და სიამოვნებითაც კი იღიმებიან. განაწამები გლეხობა თხოვნით მიმართავს ხოლმე შეძლებულ გლეხობას, რათა ახალ მოსავლამდის სესხის სახით მისცენ ხორბალი, რითაც თავს გამოიკვებავენ და თავს დააღწევენ სიმშილის ბრჭყალებიდან.

ამ უბედურებას თავის დროზე აუღო ალღო მთავრობამ და ამ მიზნით მან შექმნა ცენტრში ცენტრალურ დამშეულთა დამხმარე კომიტეტი და ადგილობრივ მაზრაშიაც იქნა მოწყობილი სასწრაფო დამხმარე კომისიები და ენერგიულად შეუდგნენ ეს კომისიები თავიანთ მოვალეობის ასრულებას, როგორც არის 3 დღეულის ჩატარება შეწირულების ასაკრებად. წარმოდგენების მოწყობა, ყუთებით ფულის შეკრება და სხვა... მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთმა შემოწირულებამ მაინც და მაინც არ მოგვცა დიდი ნაყოფი და დამშეულთა მრავალ რიცხოვან ხალხს ვერ დააკმაყოფილებს ასეთი მცირე შემოწირულებანი. გორის სამაზრო ცენტრში არის უკვე დაახლოებითი სტატისტიკური ცნობები, თუ რამდენი არის მთელ მაზრაში დამშეულთა რიცხვი, რამდენი ესაჭიროებათ ახალ მოსავლამდის ჭირნახული, როგორც გამოსაკვებად, ისე სათესლეთ. მართალია, მთავრობამ გორის მაზრას მისცა სათესლეთ ქერის ხორბალი, მაგრამ მოთხოვნილება იმდენათ დიდია, რომ სათესლით ვერ დაკმაყოფილდა ვერც 10 პროც. უღარიბესი გლეხობის. ღარიბ ღატაკნი დაიმედებულნი არიან რომ თუ მთლად არა, საგრძნობათ მაინც იქნება სიმინდის სათესლით ღარიბი გლეხობა დაკმაყოფილებული. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ხედავენ მშრომელი ხალხის მოღალატენი და კულაკები და ეს ვაჟბატონები არამც თუ ეხმარებიან ამ საბედისწერო მომენტის დროს ღარიბეს გლეხობას, არამედ პირიქით მტრულ განწყობილებაში არიან და იმდენად გათამამებულნი ზოგიერთი მათგანი, რომ ეუბნებიან ღარიბებს: „მოკვდით, ამოგხდეთ სიმშილით სული, არ მოგცემთ სესხად არც ერთ მარცვალ ხორბალსაო“. ადგილობრივი ხელისუფლება უწევს რა ანგარიშს სერიოზულ მდგომარეობას, საბჭოებს თავის სხდომებზე გამოაქვთ დადგენილებები და მიმართვენ ხოლმე შეძლებულებს, რათა საბჭოს შუამდგომლობით, მათ პასუხის მგებლობის ქვეშ, ახალ მოსავლამდის მისცენ დამშეულებს სესხად ჭირნახული, მაგრამ გულ გაქვავებულნი და ბოროტებით აღსავსე მდიდარი გლეხები უარით უპასუხებენ საბჭოს მიმართვაზე.

ზოგიერთი მათგანი და განსაკუთრებით კი სოფელში მაწანწალა პროვოკატორები ათას გვარ პროვოკაციას ეწევიან და გულს უმღვრევენ მშრომელ პატიოსან გლეხობას, რითაც სურთ ამ ვაჟბატონებს გული აუცრუონ მშრომელებს პატიოსან შრომაზე. ადგილობრივ ხელისუფლება და ღარიბი გლეხობა იმედოვნებს, რომ ასეთს მოვლენას შესაფერის ანგარიშს გაუწევს მთავრობა და რადგანაც ნებით არ სურთ შეძლებულებს დახმარება ღარიბ ღატაკთადმი, მისთვის ნებას დართავს ადგილობრივ საბჭოებს, რათა აიძულონ და მიაცემინონ ღარიბებზე თავის გამოსაკვებათ ახალ მოსავლამდის ჭირნახული სესხის სახით.

უკიდურეს შემთხვევაში უნდა გულახდილად ითქვას, რომ ასეთი მოვლენა გამოიწვევს ბევრ არა სასიამოვნო მოვლენას, რაიც შემდეგ არც მდიდარ კულაკებს მიაყენებს სიამოვნებას. რაც შეეხება კერა დაკარგულ მენშევიკებს და მათ დაქირავებულ აგენტებს, ტყუილათ თავს ნუ იცხელებენ... დამერწმუნეთ, ბატონო მენშევიკებო, რომ სხვის უბედურებაზე ვერ ააშენებთ თქვენ ბედნიერებას და ვერ ეღირსებით თქვენ განზრახვის სისრულეში მოყვანას. გორის მაზრის ღარიბ-ღატაკმა გლეხობამ დიდი ხანია გაიცნო თუ ვინ ბრძანდებით თქვენ და მისთვის გირჩევთ პროვოკაციულ საშუალებას თავი დაანებოთ, თორემ ხალხის გაბოროტება ბუნებისამდი თქვენკენ მობრუნდება და თვით მასსა დაუდებთ სათანადო მსჯავრს.

—

### თიონეთის მაზრა.

1922 წ. 5 აპრილს, საღამოს 6 ს. თიონეთის სამაზრო ახალგაზრდათა კავშირის სამაზრო კომიტეტის ინიციატივით გაიმართა ადგილობრივ ახალგაზრდათა კრება, რომელსაც ადგილობრივ პასუხისმგებელი მუშაკის გარდა დაესწრო ს. კ. პ ც. დავალებით თიონეთში ახლად ჩამოსული ამხ. ტრაპაიძე კრებას თავმჯდომარეობს ამხანაგი ქალი ნინა სალარაშვილისა. დღის წესრიგში დასმული კითხვის შესახებ საერთაშორისო მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკების და ახალგაზრდათა კომ. კავშირის მოვალეობა თანამედროვე მომენტში — ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტრაპაიძე, რომელმაც მიუთითა კრებას, თუ როგორი ჩქარი ტემპით წარმოებს დღეს მსოფლიო კონტრ რევოლუციონერთა ბანაკში ძალთა მობილიზაცია იმ მიზნით, რომ გენუის სამშვიდობო კონფერენცია გამოიყენოს პროლეტარული დიქტატურის დასამარხათ.

„დაწყებული ყოფილი დიდი მთავარი ნიკოლოზი ნიკოლოზის ძე რომანოვიდან გათავებული მარტოვ ჟორდანია ჩერნოვით—ერთი ფრონტია გამართული საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ“, განაცხადა ორატორმა, ჩანს ეს პატივცემული კამპანია გაუტაცნია ისტორიის ბედისწერას, ჩანს მათთვის ცოტაა ის სამარცხვინო დამარცხებები და უკუქცევები, რაც მათ იგემეს ამ ოთხი წლის განმავლობაში, ჩანს მათ ბოროტ არსებას სწვავს და დაგავს დაუძლეველი სურვილი ერთხელ კიდევ მოითხანონ მუშის და გლეხის გამცემლობით დატვირთული ზურგი მადლიანი წითელი არმიის ხიშტით, დიე, იყოს ნება შენი, შეგვიძლიან უთხრათ ჩვენ ამ ავაზაკებს. ბათუმიდან ვლადივოსტოკამდე თქვენ გიდარაჯებთ ფოლადისებური ნების ყოფის მრავალ მილიონიანი ჯარი, წითელი ახალგაზრდობა, ბრძოლაში გამოჭედილი სახელგანთქმული კომუნისტური პარტია და ყველა პატიოსანი მოქალაქე, ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ გამოცდის თასი შორს ვიდოდეს ჩვენგან, განაგრძობს ამხანაგი და თუ ის ტორიისაგან განწირულ იმპერიალისტებს და მის დამქაშებს—ჟორდანია, მარტოვ-ჩერნოვს, აუდუღდება ბოროტი სისხლი, ჩვენ გადაჭრით შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯარი, მალე დაუმტკიცებს მათ თავის რევოლიუციონურ დისტაქრობას. საერთო ტაშის კვრის და ვაშას ძახილში ათავებს თავის სიტყვას ამხ. ტრაპაიძე.

დასასრულ კრება ერთხმად იღებს დადგენილებას, რომ სიფხიზლის რკინის ქვილით შეუკრავს გზას ბანდიტებს, დეზერტირებს და სხვა გარეწარებს, აგრეთვე ყველა ჯურის პროვოკატორებს და პირველი დაძახების თანავე მტლად დაედება საბჭოთა ხელისუფლებას. ამის შემდეგ კრება იხურება ფრიად აღფრთოვანებული და მადლიერი.

**დ. მიქაძე.**

—

### ქალ. ხაშური.

ცხრა აპრილს მუშათა კლუბში შესდგა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო დიდძალი ხალხი—რკინის გზის მუშა მოსამსახურეები, ქალ. ხაშურის მოქალაქენი და ახლო სოფლების გლეხობა. დღის წესრიგში იყო მოხსენება შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თურქიასი თანამედროვე მომენტზე, შრომის ორგანიზაციაზე და შრომის ნაყოფიერებაზე.

მომხსენებელი ამხ. თურქია შეეხო განვლილ ხანას, 1917 წლიდან დღემდე რევოლიუციის ეტაპებს, გამყიდველ პოლიტიკის წარმოებას ყველა იმ პარტიებისას, რომლებიც მოექცენ სათავეში რევოლიუციას 1917 ოქტომბრის რევოლიუციამდის და რომლებიც მოუწოდებდნენ მუშათა კლასს ბურჟუაზიასთან ხელიხელ ჩაკიდებულ სვლას და იმპერიალისტურ ომის წარმოებას, ამბობს ამხანაგი. ასეთები იყვნენ და არიან დღესაც მენშევიკები, ესერები, კადეტთა პარტია და ყველა ის მაჩანჩალა ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც დღესაც გაჰკივიან დამოუკიდებლობაზე, ამხანაგი შეჩერდა ამ საკითხზე, დამოუკიდებლობაზე, მისცა დამსწრეთ ვრცელი განმარტება საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ამიერ კავკასიის ფედერაციაზე.

შემდეგ ამხანაგი შეეხო შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებებს წელიწადში ექვსი დღის სავალდებულო მუშაობას საბჭოთა რესპუბლიკისთვის, აუხსნა ის განსხვავება, რომელიც არის ბეგარასა და სავალდებულო მუშაობის შორის, მიუთითა დამსწრეთ სარწყავ არხების გაყვანაზე და ან რა ნაყოფი მოაქვს ამ სარწყავ არხებს სასოფლო მეურნეობაში, შემდეგ შეეხო სწავლა-განათლებას წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და დაათავა მოხსენება მითი, რომ მოუწოდა ყველა დამსწრეთ, ნუ აჰყვებიან იმ პროვოკატორებს, რომლებიც დაძრწიან სოფელ-ქალაქებში და ავრცელებენ ათასნაირ ჭორს საბჭოთა ძალა-უფლების წინააღმდეგ. მან მიუთითა დამსწრეთ იმაზე, რომ, როდესაც ის ასეთივე მოხსენებებით იყო დუშეთში, იქ მას შეეკითხნენ, მართალია, თუ არა, რომ სამეგრელოს გლეხობა აჯანყებულა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. მე განვუმარტე მათ, ამბობს ამხანაგი, რომ თბილისიდან ახალი წამოსული ვარ, ამისთანა რამეს ალაგი არა ჰქონია და არც იქნება. მაგრამ მე განმაცვიფრა, რომ სამეგრელოში ყოფნის დროს, იქაც ასეთი შეკითხვა მომცეს და მიმითითეს დუშეთზე, თითქოს იქ მთელი გლეხობა აჯანყებულა და დღეს არის თუ ხვალ თბილისს აიღებენო. მე იქაც დავუმტკიცე სიცრუე დამსწრეთ, აუხსენი მათ, რომ ყოველივე ეს არის პროვოკატორების მუშაობა და გაფრთხილებთ, რომ ალაგმით ასეთი პირები და შეუწყვიტ ხელი საბჭოთა მთავრობას აღმშენებლობაში. მოხსენება დამთავრდა მხურვალე ტაშით. შემდეგ მიღებულ იქმნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ ხაშურის მუშა-მოსამსახურეებმა და ადგილობრივ მცხოვრებლებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. თურქიასი, თანამედროვე მომენტზე შრომის ორგანიზაციაზე და კერძოთ შრომის ნაყოფიერებაზე, შრომის ტვირთზიდვის გადასახადის შემოღებაზე ომისა და რევოლიუციით დანგრეულ ქვეყნის აღდგენისთვის, ვიწონებთ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, აღუთქვამთ მას სრულ დახმარებას.

გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა ფედერაციას!

გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას!

**სანდრო.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დეკრეტი № 2.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი; აღნიშნული ოლქის ცენტრად იქნეს ქ. ცხინვალი.

2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შედგენილობაში მოთავსდეს ტერიტორია, რომელიც უჭირავს სამხრეთ-ოსეთის ხალხს შემდეგ საზღვრებში:

ა) ჩრდილოეთით სანაპირო ხაზი გაივლის კავკასიონის მთავარ ქედზე მთიულთა ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ.

ბ) დასავლეთ სანაპირო ხაზი იწყება მთიელთა სოც. საბჭ. ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებიდან მდინარე ჩანჩახის სათავესა და მის შენაკადებთან, გადასჭრის სიმაღლეს 8,872, მიემართება წიფელტის ქედის გასწვრივ, გადასჭრის მდინარე ჩანჩახს, შენაკადი გესკეს შესართავში გაგრძელდება სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით გესკეს მთის კალთებზე ამა მდინარის დასავლეთით; გადასჭრის გესკეს მთას, ძვარის მთას, სიმაღლეს 6062, მდინარე ღარულას სოფ. დაბლა კვაჟას ქვევით, მდინარე ქვედრულას, სოფ. ქვედის აღმოსავლეთით; დაეშვება ველუანტის მთის კალთებზე, გადასჭრის სიმაღლეს 7616; გადასჭრის ქუდევის მთას, 2932-ს სიმაღლის ცოტა დასავლეთით; გაგრძელდება აღმოსავლეთ სამხეთის მიმართულებით, 6013 სიმაღლის ძირის გასწვრივ; გადასჭრის მდინარე ყვირილის მარჯვენა შენაკადს სოფ. პერევის ჩრდილო აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. პერევის აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ყვირილას 2170 სიმაღლეს აღმოსავლეთით, მიებჯინება პერანგის მთას 5201 სიმაღლეზე; მიემართება სამხრეთით ამა მთის კალთებზე ძირულის მთის დასავლეთით; გადასჭრის უკანასკნელს და გაივლის კაპრებისსერის ქედს, 4172 სიმაღლემდე; გაგრძელდება მდინარე ჭარათ-ხევის ზემო მიმდინარეობით და შემდეგ კაპრების-სერის ქედის კალთების იქით, მდინარე ლოპანის დასავლეთით.

გ) სამხრეთით: სანაპირო ხაზი გაგრძელდება ჭირჭან-წნელისის ზით, გადასჭრის მდინარე ლოპანს, წი[illegible]სის ქვივით, მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გასჭრის მდინარე ფრონის სოფ ოქონის ქვევით, მიიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ გადასჭრის მდინარე ფრონას (ყორნისისა) სოფ. დვანის ზევით; გაივლის დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთით მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ ლიახვს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ ერედვას; გადასჭრის მდინარე პატარა-ლიახვს, სოფ არბის ზევით, მდინარე ჭარებულას, სოფ. მერეთისა და კოშკის ზევით; მოუხვევს სამხრეთ აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთრევას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. აძურას და მეჯუდას, სოფ. აძვისა და მეჯვრის ხევის ცოტა ზევით; გრძელდება სოფ. ყირბალისა და ბერშუეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ტარტლას სოფ. წინაკარის ქვევით, მდინარე ლეხურის მარჯვენა შენაკადს სოფ. ხურვალეთის ზევით, შემოუვლის სოფელთა ჯგუფს: ორჭომანს, აბრევსა და სხვ., გადასჭრის მდინარე ლეხურს ს. საკორინთლოსა და ოძისის ჩრდილოეთით; გადასჭრის მდინარე ქსანს სოფ. ოძისის ზევით და მიებჯინება იფნიანის ქედის მთას.

დ) აღმოსავლეთით: სანაპირო ხაზი იფნიანის ქედის მთიდან მოუხვევს ჩრდილოეთით და გადასჭრის ხნარევსა, გაივლის სოფ მიქელიანთ კარისირმის სოფლის და სხვა სოფლების ხაზას დასავლეთით; შემოუვლის ჩრდილოეთით 6.409 სიმაღლის შუა კალთებს, გადასჭრის უკანასკნელს ეკლესიის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთით; შემდეგ გაგრძელდება ჩრდილოეთისაკენ ქედით მდ. ალევის მიმდინარეობის გასწვრივ ამა მდინარის აღმოსავლეთით; გადასჭრის ჭარტალას მთას 8,283 სიმაღლეზე, საფერშეთის და ტახტის მთებს, გაგრძელდება მდინარე არაგვისა და ქსნის შენაკადების შუა წყალთა გამყოფი ქედის აზით; გადასჭრის სიმაღლეებს: ყურყუტსა, მუნჯუხსა და ლომისის უღელტეხილს მონასტრის ნანგრევებთან და მიემართება ჯიმურის უღელტეხილამდე; გადასჭრის მდ. არაგვის მარჯვენა შენაკადებს—განისისა, ერეთის და სხვა სოფლების დასავლეთით; გაგრძელდება ჩრდილო აღმოსავლეთით მდ არაგვის ზემო-მიმდინარეობით; მოუხვევს დასავლეთით, გადასჭრის ლაზგ წითის მთას და მიემართება წყალთა-გამყოფი ქედის ხაზით მდინარე თერგისა და დიდი-ლიახვის შენაკადების შუა, გადასჭრის 12 117, 11-393 და 12-572 სიმაღლეებს და მიებჯინება ვაილკპარსის მთას.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის მმართველი ორგანოებია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ადგილობრივი საბჭოები.

4. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საქმეთა მმართველობისათვის დაარსდება სახალხო კომისარიატები: ა) შინაგან საქმეთა, ბ) იუსტიციისა, გ) განათლებისა, დ) ჯანმრთელობისა, ე) შრომისა და სოც. უზრუნველყოფისა, ვ) მიწათმოქმედებისა, თ) სასურსათო, ზ) ფინანსთა, ი) სახალხო მეურნეობის საბჭო და კ) მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

**შენიშვნა:** 1—სამხრეთ ოსეთის განსაკუთრებული სახალხო კომისართა საბჭო არ დაარსდება და სახალხო კომისარიატები მოქმედებენ, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი.

**შენიშვნა:** 2—გარეშე საქმენი და საგარეო ვაჭრობა რჩება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში.

სამხედრო საქმეს განაგებს სამხედრო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატს და მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა დარჩება საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოთა გამგებლობაში, რომელნიც მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

5. რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე დაცულ იქნეს და მოეწყოს ერთიანი საფინანსო და სამეურნეო მოქმედება, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: სასურსათო, საფინანსო, შრომისა, სახალხო მეურნეობის საბჭო და მუშათა და გლეხთა ინსპექცია დარჩებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ქვემდებარეობაში; ამასთანავე უკანასკნელთა ყოველი განკარგულება და ღონისძიება განხორციელებულ უნდა იქნეს სამხრეთ ოსეთის სახალხო კომისარიატების მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

**შენიშვნა:** მეხუთე მუხლში დასახელებული სახალხო კომისრები დანიშნულ იქნებიან საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით და დამტკიცებულ იქნებიან უკანასკნელის მიერ.

6. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, მიწათმოქმედებისა და სოციალურ უზრუნველყოფისა ავტონომიური არიან თავის მოქმედებაში და პასუხისმგებელნი საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების წინაშე, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ყველა საჭირო საფინანსო და ტეხნიკური საშუალებებით მომარაგებულ იქნება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო სახსრიდან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს უშუალო განკარგულებისამებრ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

8. იმ ადმინისტრატიული ერთეულების [illegible], რომლებიც მიეთვისება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აწარმოებს შერეული კომისია, შემდგარი სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მოსაზღვრე დაინტერესებული მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთაგან.

აღნიშნულ კომისიას დაევალება თავისი მუშაობა დაამთავროს არა უგვიანეს ამა 1922 წ. მაისის 1-სა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილის 20.

ტფილისი—სასახლე.

**სარედაქციო კოლეგია.**

**გრძელდება ხელის მოწერა გაზეთზე**

## „საქართველოს ეკონომიური ცხოვრება“

**საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანო.**

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯელ. გამოცემის მიზანია საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ყოველ მხრივი გაშუქება და თეორიული განვითარება. საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკების და კაპიტალისტურ სახელმწიფოების ეკონომიკის მთავარი მხარეების გაშუქება, ფართო ინფორმაცია საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკების წარმოების განვითარებაზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე და სხვა.

**გაზეთზე ხელის მოწერა და განცხადებები**

მიიღება გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში: რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროს. № 24., გაზეთის კანტორაში სასახლის ქუჩა № 6. მესამე სართული და აგრეთვე მოწმობით აღჭურვილ აგენტების საშუალებით.

ხელის მოწერის ფასი: თბილისში ადგილზე მიტანით 80.000 მანეთი. პროვინციაში 100.000 მან. ერთი ეგზემპლიარის ფასი 10,000 მან.

განცხადებების ფასი: 15,000 მანეთი სტრიქონი ნონპარელი.

(3—3)

## გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

**გაზეთებზე ხელის მომწერთ:** „პრავდა გრუზიი“-ს (რუსულ ენაზე) „კომუნისტი“-ს (ქართულ ენაზე), „კარმირ ასტღ“-ის (სომხურ ენაზე). „მიწის მუშა“-ს (ქართულ ენაზე ორჯელ კვირაში). „ახალი აზრი“-ს (თურქულ ენაზე ორჯელ კვირაში).

ვსთხოვთ განაახლონ ხელის მოწერა მაისისათვის არა უგვიანეს 30 აპრილისა, ვინაიდგან პირველ მაისამდე ვინც ხელის მოწერის ფასს არ გადაიხდის გაზეთი არ გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველიდან მეორე თვის პირველამდე, გამონაკლის შემთხვევაში 1-დან ორამდე (15—1-მდე ან წინააღმდეგ).

ხელის მოწერა მიიღება ტრესტის კანტორაში, რუსთაველის პროსპ. № 24. მეორე სართული. 9 დან 3 საათამდე დღის. აქვე მიიღება განცხადებები თბილისის ყველა გაზეთებში.

## პროვინციელ აგენტთა საყურადღებოთ

ყველა პროვინციელ აგენტებს ევალებათ დაუყონებლივ და სრულიად გაუსწორონ ანგარიში გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორას (რუსთაველის პროსპ. № 24) მიღებულ გაზეთების ანგარიშის გაუსწორებლობისათვის 1 მაისამდე, დაჰკარგავენ წარმომადგენლობის უფლებას და მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

1 მაისიდან გაზეთი „პრავდა გრუზიი“ გაიცემა 10 პროცენტის უკან დაბრუნების უფლებით, რისთვისაც აგენტები ვალდებულია თავის დროზე აცნობონ გაზეთის ტრესტს თითეულ გაზეთის საჭირო რაოდენობა. მომავალი ანგარიშის გასწორება ტრესტის კანტორასთან უნდა ხდებოდეს ორჯერ თვეში.

ტრესტის მთავარი კანტორა.

## მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“-ს

გამგეობა აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 22 მაისისთვის (ძველი სტილით 9 მაისი)—მოწვეულია

## რწმუნებულთა წლიური კრება

თანახმად წესდების § 21-ისა და § 25-ისა განსახილველია:

1) წლიური ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება,
2) გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი,
3) მოგების განაწილება,
3) საბჭოს შესახებ დებულება,
5) წესდების ზოგიერთი მუხლების დამატება და შეცვლა,
6) მომავალი მოქმედების გეგმა და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა,
7) მიმდინარე საკითხები,
8) გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის მორიგი არჩევნები (თანახმად წესდების §§ 31 და 39).

რადგან ეს კრება მეორედ ინიშნება, თანახმად წესდების მე-24 მუხლისა, კანონიერი იქნება მიუხედავად იმისა რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კრებას.

(3—2)

## საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტისაგან

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შენობაში. (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობა) ტელ. № 15—46.

(6—2)

## განცხადება

**ქ. თბილისის მე-3 რაიონის სახალხო სასამართლო**

იწვევს მემკვიდრეებს, გარდაცვალებულის სარქის ჰოვანეს ძე (სერგო ივანეს ძე) ჩუტუმიანცისა, რომელთაც ნება აქვთ განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში დღიდგან უკანასკნელი მესამე განცხადებისა.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

(1—1)